პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 246
(3985)
18
1969 წ.
დეკემბერი.
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ვ. გოგლიძის
მემორიალი

ნადეჟდა ჩიჟოვა — წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალი

ბირთვის კვრაში მსოფლიო რეკორდსმენი და ევროპის ჩემპიონი, ლენინგრადელი სტუდენტი ნ. ჩიჟოვა მსოფლიოს 1969 წლის საუკეთესო სპორტსმენ ქალადაა დასახელებული.

ასეთია შედეგი საკდესის სპორტული რედაქციის მეოთხე ტრადიციული ანკეტისა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ევროპის, ამერიკისა და აზიის 18 დეპეშათა საინფორმაციო სააგენტოს მიმომხილველებმა.

„კენჭისყრის“ დროს ნ. ჩიჟოვა, პრაქტიკულად, უკონკურენციოდ იყო — მან 109 ხმა მიიღო. მიმომხილველთა უმეტესობაზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ფენომენალურმა მსოფლიო რეკორდმა — 20,43 მ.

„ათეულში“ II ადგილზეა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ფიგურულ ციგურაობაში გ. ზაიფერტი (გდრ) — 66 ქულა.

სიის მესამე სტრიქონი უჭირავს ბადროს ტყორცნაში მსოფლიო რეკორდსმენს ლ. ვესტერმანს (გფრ) — 62 ქულა.

საკდესის 1967 წლის ანკეტის ლაურეატი, ნორჩი ამერიკელი მოცურავე დ. მაიერი 58 ქულით IV ადგილზეა. 43 ქულა მოაგროვა მსოფლიო რეკორდსმენმა და ევროპის ჩემპიონმა მძლეოსნურ ხუთჭიდში ლ. პროკოპმა (ავსტრია), 37 ქულა — ევროპის ჩემპიონმა თარჯრბენში კ. ბალცერმა (გდრ), 36 ქულა. — მსოფლიო რეკორდსმენმა და ევროპის ჩემპიონმა 400 მეტრზე რბენაში ნ. დიუკლომ (საფრანგეთი).

უიმბლდონის ტურნირის ჩემპიონს, ინგლისელ ჩოგბურთელ ე. ჰეიდონ-ჯონსსა და სამთოსათხილამურო სპორტში მსოფლიოს თასის მფლობელს გ. გაბლს (ავსტრია) 31-31 ქულა დაუგროვდათ.

„ათეულის“ ჩამკეტია ამ ანკეტის ყველაზე ნორჩი „მონაწილე“, ევროპის 4 რეკორდის მფლობელი ცურვაში, 15 წლის მოსწავლე გ. ვეტცკო (გდრ) — 25 ქულა.

სულ პასუხებში 34 სპორტსმენი ქალია მოხსენიებული. საბჭოთა სპორტსმენთაგან, ჩიჟოვას გარდა, დასახელებული არიან ციგურებით სწრაფრბენაში მსოფლიო ჩემპიონი ლ. კაუნისტე, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ჭადრაკში ნ. გაფრინდაშვილი, მსოფლიო ჩემპიონი ფარიკაობაში ე. ნოვიკოვა, ევროპის ჩემპიონი ბაიდარით ნიჩბოსნობაში თ. შიმანსკაია.

სურათზე: ნ. ჩიჟოვა.

მეორე წელიწადს ზედიზედ

პალმა-დე-მალიორკა, 16 დეკემბერი. ესპანეთის ამ საკურორტო ქალაქში ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის გასაშუქებლად ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყნის ბევრი მოწინავე საჭადრაკო ჟურნალისტი იყრის თავს. ისინი მსოფლიოში წლის საუკეთესო მოჭადრაკესაც ასახელებენ.

წლეულს ეს წოდება მიენიჭა მსოფლიო ჩემპიონ ბ. სპასკის.

გაგახსენებთ, რომ სპასკი შარშანაც საუკეთესო მოჭადრაკედ აღიარეს დედამიწის ზურგზე.

ვიბრძოლოთ შემოქმედებითად!

სახელოვანი ქართველი მოჭადრაკის ვ. გოგლიძის მემორიალის — დიდი საერთაშორისო ტურნირის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალი, რომელიც გუშინწინ თბილისის პიონერთა სასახლის სარკეებიან დარბაზში შედგა, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა, რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ჭირაქაძემ გახსნა.

სახელგანთქმულ დიდოსტატებსა და ოსტატებს მიესალმნენ სსრ კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ნ. ალექსანდრია, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი მ. შიშოვი, დიდოსტატი ე. გუფელდი, ხოლო სტუმრების სახელით სიტყვა თქვა პოლონელმა საერთაშორისო ოსტატმა ე. კოსტრომ. მან მოუწოდა კოლეგებს დიდი ქართველი მოჭადრაკის მემორიალი მაღალხარისხოვანი პარტიებით დაამშვენონ, შემოქმედებითად იბრძოლონ.

მემორიალის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა გ. გაჩეჩილაძემ ილაპარაკა შეჯიბრების პირობების შესახებ. ტურნირში საერთაშორისო ოსტატს შეუძლია შეასრულოს საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი (10,5 ქულა 15-დან), ხოლო ოსტატს — საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი (7,5 ქულა 15-დან).

კენჭისყრის შემდეგ სატურნირო ცხრილი ასე შეივსო:

1. დიდოსტატი ა. ლეინი, 2. დიდოსტატი ა. სუეტინი, 3. დიდოსტატი ლ. შამკოვიჩი (სამივე — მოსკოვი), 4. საერთაშორისო ოსტატი ე. კოსტრო (პოლონეთი), 5. ოსტატი ნ. სპირიდონოვი (ბულგარეთი), 6. დიდოსტატი დ. ბრონშტეინი (მოსკოვი), 7. დიდოსტატი ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), 8. საერთაშორისო ოსტატი ე. ჰააგი (უნგრეთი), 9. საერთაშორისო ოსტატი ვ. ჩოკილტია (რუმინეთი), 10. დიდოსტატი მ. ტალი (რიგა), 11. დიდოსტატი რ. ხოლმოვი (მოსკოვი), 12. საერთაშორისო ოსტატი რ. ფუქსი (გდრ), 13. დიდოსტატი ე. გუფელდი (თბილისი), 14. ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი (თბილისი), 15. ოსტატი ლ. მაშიჩი (იუგოსლავია), 16. საერთაშორისო ოსტატი ბ. გურგენიძე (თბილისი).

გუშინ რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა მემორიალის I ტური.

* * *

სურათზე: მემორიალის საზეიმო გახსნა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

[illegible]

● კიევი, 16 დეკემბერი. აქ გრძელდება სსრ კავშირის თასის გათამაშება კრივში. დღეს რინგზე ერთმანეთს შეხვდნენ ყაზახეთისა და ბელორუსიის, მოსკოვისა და სომხეთის მოკრივეები. ორივე მატჩში ერთნაირი ანგარიშით (7:4) გაიმარჯვეს ყაზახეთისა და მოსკოვის წარმომადგენლებმა.

გაერთიანებულ კონგრესზე

ჟენევაში გაიმართა პროფესიონალ და მოყვარულ ველოსიპედისტთა ფედერაციების (ცალ-ცალკე) და მათი გამაერთიანებელი ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის კონგრესი.

განხილულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი: სპორტსმენთა ასაკობრივი შეზღუდვის, დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლისა და საერთაშორისო სპორტული კალენდრის შესახებ.

შემდეგ გაიმართა არჩევნები. ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტად ხელახლა აირჩიეს როდონი (იტალია), ვიცე-პრეზიდენტად — კუპრიანოვი (სსრ კავშირი), მდივან-ხაზინადრად — მოისონი (ბელგია).

გადაწყდა, მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის საკითხიც. იგი გაიმართება ინგლისში, 13-15 აგვისტოს მოყვარულთათვის, შემდეგ კი პროფესიონალებისთვის.

უკან დარჩა I ტური

ტალინსა და ალმა-ათაში დამთავრდა ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტური.

ტალინში გამართულმა ბოლო მატჩებმა ასეთი შედეგები მოგვცა: „კალევი“ (ტალინი) — „დინამო“ (ირკუტსკი) 3:1, „რადიოტექნიკი“ (რიგა) — „ბურევესტნიკი“ (ხარკოვი) 0:3, „ავტომობილისტი“ (ლენინგრადი) — ცსკა 2:3.

ალმა-ათაში ბოლო შეხვედრები ასე დამთავრდა: „ბურევესტნიკი“ (ალმა-ათა) — აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო) 3:0, „ბურევესტნიკი“ (ოდესა) — ასკ (როსტოვი) 0:3, „ზვეზდა“ (ლუგანსკი) — „ლოკომოტივი“ (კიევი) 3:1.

მოგვყავს გათამაშების ცხრილი I ტურის შემდეგ:

ფრენბურთი

გათამაშების ცხრილები

ტალინის ჯგუფი

	თ.	მ.	წ.	ქ.
„კალევი“ (ტალინი)	5	4	1	4
„ბურევესტნიკი“ (ხარკოვი)	5	3	2	3
ცსკა	5	3	2	3
„რადიოტექნიკი“ (რიგა)	5	2	3	2
„დინამო“ (ირკუტსკი)	5	2	3	2
„ავტომობილისტი“ (ლენინგრ.)	5	1	4	1

ალმა-ათის ჯგუფი

	თ.	მ.	წ.	ქ.
„ბურევესტნიკი“ (ალმა-ათა)	5	5	0	5
ასკ (როსტოვი)	5	4	1	4
„ზვეზდა“ (ლუგანსკი)	5	3	2	3
„ლოკომოტივი“ (კიევი)	5	1	4	1
„ბურევესტნიკი“ (ოდესა)	5	1	4	1
აზერბაიჯანის ნავთობის და ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო)	5	1	4	1

კადრების საკითხი

გ. სიხარულიძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე

სულ უფრო იზრდება ფიზიკური კულტურისა და სპორტის როლი საზოგადოების ცხოვრებაში, ახალი ადამიანის აღზრდაში, რომელშიც ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა. ფიზკულტურა და სპორტი მტკიცედ იკიდებს ფეხს მოსახლეობის ყველაზე ფართო ფენების ყოფა-ცხოვრებაში.

სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების პერიოდში ჩვენმა რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის ზრდის მხრივ. ამასთან დაკავშირებით, ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის განვითარების მოცემულ ეტაპზე განსაკუთრებით საყურადღებოა კადრების საკითხი. ნება მიბოძეთ, გაგიზიაროთ ჩემი შეხედულება იმის თაობაზე, თუ როგორ არის მოგვარებული და რა შემდგომ მუშაობას მოითხოვს ამ საკითხის წარმატებით გადაჭრა საქართველოში.

1959 წელს ჩვენი რესპუბლიკის 5946 კოლექტივში 501668 ფიზკულტურელი იყო გაერთიანებული, 1969 წლის 1 იანვრისთვის კი ფიზიკური კულტურის კოლექტივების რიცხვი 6828-მდე გაიზარდა. მათში უკვე 1 134 173 კაცი იყო ჩაბმული, რაც რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო რიცხვის 24,2 პროცენტს შეადგენს.

ფიზკულტურულ მოძრაობაში მასობრიობის ესოდენ მკვეთრმა აღმავლობამ შესაბამისი კადრების რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდაც მოითხოვა. ეს ამოცანა საქართველოში ძირითადად კარგად გადაწყდა. სადღეისოდ მდგომარეობა ასეთია: სულ რესპუბლიკაში 4733 შტატით მომუშავე ფიზკულტურული მუშაკი გვყავს. მათგან უმაღლესი ფიზკულტურული განათლება 3215 კაცსა აქვს, საშუალო სპეციალური — 883 მუშაკს. სულ სპეციალური განათლება შტატში მომუშავეთა საერთო რიცხვის 86,6 პროცენტს აქვს. საშუალო მონაცემები კი კავშირის მასშტაბით დაახლოებით 60 პროცენტს შეადგენს.

როგორც ზემოთმოყვანილი ციფრები მოწმობს, ფიზკულტურული განათლების მქონე სპეციალისტთა კადრებით უზრუნველყოფის მხრივ რესპუბლიკა ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მთელს საბჭოთა კავშირში.

ბოლო წლებში გატარებულ ღონისძიებათა წყალობით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხელმძღვანელი ფიზკულტურული კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა. ამას კარგად ახასიათებს შემდეგი მონაცემები: ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაიონული, საქალაქო, საოლქო (ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების) 63 თავმჯდომარიდან 57-ს უმაღლესი ფიზკულტურული განათლება აქვს, სამს — საშუალო და სამს — საკურსო ფიზკულტურული განათლება. მათ შორის 50 სკკპ წევრია, 3 კომკავშირელი, 10 — უპარტიო. საინტერესოა ასაკობრივი მონაცემებიც: 63 კაციდან 35 წლამდე ასაკისაა 25, 50 წლამდე — 37, ხოლო 50 წელზე ზევით — 1.

საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების სისტემაში შტატით მომუშავე 144 ფიზკულტურული მუშაკიდან უმაღლესი სპეციალური განათლება აქვს 91 კაცს, საშუალო სპეციალური — 14 და საკურსო ფიზკულტურული განათლება 39 მუშაკს. მათ შორის 8 ქალია.

რესპუბლიკის ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში შემდეგი სურათია: ცენტრალური და რესპუბლიკური საბჭოების 32 თავმჯდომარეს, მათს მოადგილეებს, სასწავლო-სპორტული და საორგანიზაციო განყოფილებების გამგეებს შორის 21 კაცს უმაღლესი ფიზკულტურული განათლება აქვს, ოთხს — საშუალო ფიზკულტურული, შვიდს — საკურსო ფიზკულტურული. მათგან 30 სკკპ წევრია, 2 — უპარტიო. 35 წლამდე ასაკისაა 2 მუშაკი, 50-მდე და 50 წელს ზევით — 5. რესპუბლიკის 4174 ზოგადსაგანმანათლებლო, მათ შორის, 1442 საშუალო, 1145 რვაწლიან და 1587 დაწყებით სკოლაში 2951 უმაღლესი, ხოლო 380 საშუალო ფიზკულტურული განათლების მქონე მასწავლებელი მუშაობს. 473 მასწავლებელს სპეციალური ფიზკულტურული განათლება არ მიუღია, მაგრამ მათ დიდი სტაჟი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გამოცდილება აქვთ. ამას გარდა, ისინი სისტემატურად გადიან მზადებას საქართველოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში.

რესპუბლიკის ფიზკულტურული კადრების კვალიფიკაციის დონეზე მეტყველებს შემდეგი მონაცემებიც: სადღეისოდ შტატიანი ფიზკულტურული მუშაკების საერთო რიცხვიდან საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება აქვს 48 კაცს, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატისა — 90, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელისა — 56, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელისა — 240, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლისა — 32, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯისა — 14, საკავშირო კატეგორიის მსაჯისა — 301, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯისა — 1250 კაცს.

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების სისტემაში ასეთი სურათია: საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში, ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრებზე მომუშავეთაგან შვიდს პროფესორის წოდება ან მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი აქვს. 48 კაცს — დოცენტის ან მეცნიერებათა კანდიდატისა.

მარტო ბოლო სამ წელიწადში პროფესორისა და დოცენტის წოდება მიენიჭა სამ მუშაკს, მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი — 7 კაცს. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში მომუშავეთაგან სამეცნიერო ხარისხი და წოდება აქვს 35,5 პროცენტს, ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში — 36 პროცენტს.

ფიზკულტურული კადრების ესოდენ მნიშვნელოვანი რიცხობრივი და ხარისხობრივი ზრდა (მხედველობაში მაქვს პროცენტული შეფარდება) განაპირობა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

დიდი როლი ითამაშა 1966 წელს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისმა დადგენილებამ, აგრეთვე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეშვიდე მოწვევის V სესიის გადაწყვეტილებებმა, სადაც ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხები იყო განხილული. ამ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებამ ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები უკეთ მომზადებული კადრებით განმტკიცდა.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებმა, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა და საუწყებო ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა გაცილებით მეტი ყურადღება დაუთმეს კადრების შერჩევას, განაწილებას და აღზრდას. ძველი მუშაკებისა და ახალგაზრდა სპეციალისტების გამოცდილება ერთმანეთს უკეთ შეერწყა. ფიზკულტურისა და სპორტის ხელმძღვანელი მუშაკების უმეტესობას დღეს ჩვენს რესპუბლიკაში კვალიფიციური, პოლიტიკურად სათანადოდ მომზადებული ხალხი შეადგენს.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საბჭოები და რესპუბლიკის უწყებათა ფიზკულტურული ორგანიზაციები უფრო ფართოდ იყენებენ საშუალო და უფროსი სამეთაურო შემადგენლობის პროფესიული ცოდნის ამაღლების ძირითად ფორმას — დაუსწრებელ და საღამოს სწავლებას უმაღლეს და საშუალო ფიზკულტურულ სასწავლებლებში, მოკლევადიან კურსებზე, სემინარებზე, თათბირებზე, სადაც ხდება გამოცდილების გაზიარება საორგანიზაციო, სასწავლო-მეთოდური თუ სპორტული მუშაობის საკითხებში.

მწვრთნელებისა და საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის დადგენილებით 1968 წლიდან გათვალისწინებული იყო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან და მწვრთნელთა სკოლაში ყოველთვიური კურსების, აგრეთვე, მეთოდისტებისთვის მუდმივმოქმედი სემინარების ჩამოყალიბება ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა ბაზაზე. 1968 წლიდან ფიზკულტურულ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები სპორტსაზოგადოებებმა და უწყებებმა გახსნეს კიდეც.

1968-1969 სასწავლო წელს ამ კურსებზე ხუთ ნაკადში კვალიფიკაცია აიმაღლა საწარმოო ტანვარჯიშის დაახლოებით 200 მეთოდისტმა. 1969-1970 სასწავლო წელს ეს ციფრი 400-მდე გაიზრდება.

ამას გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებები და უწყებები, როგორც წესი, კვირაში ერთხელ სემინარულ მეცადინეობას ატარებენ თავიანთი კოლექტივების ინსტრუქტორ-მეთოდისტებს შორის.

თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის კათედრის ბაზაზე 1968 წლიდან გახსნილია მუდმივმოქმედი კურსები, სადაც ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება ხდება.

ამასთან, უნდა მოგახსენოთ, რომ რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტების ძირითად მასას ამზადებს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, რომლის კონტინგენტიც დღის განყოფილებაზე 1965 წელს 150 კაცი იყო, 1969 წელს კი 225 კაცამდე გაიზარდა. ამას გარდა, საღამოს განყოფილებაზე ყოველწლიურად 100 კაცს იღებენ.

ამჟამად ინსტიტუტის დღის განყოფილება ყოველწლიურად 150 კურსდამთავრებულს უშვებს. უახლოეს წლებში მათი რიცხვი 200-ს გადააჭარბებს. თავისი არსებობის მანძილზე, ესე იგი, 1939 წლიდან, ინსტიტუტმა უკვე მოამზადა 4084 სპეციალისტი, მათგან წარმოებისგან მოწყვეტით — 2759 კაცი.

ამას გარდა, ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზაზე მუშაობს მწვრთნელთა სკოლა, სადაც სწავლების ვადა 3 წელია და რომელიც ყოველწლიურად 70-75 კაცს უშვებს. თავისი არსებობის მანძილზე ამ სკოლამ 568 საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტი მოამზადა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, 1968-1969 სასწავლო წლიდან ფიზიკური აღზრდის სპეციალობით ჯგუფების ჩამოყალიბება დაიწყო სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, ცხინვალის, გორის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. კონტინგენტი 80 კაცს აღწევს. ეს ღონისძიება მოგვცემს საშუალებას, რომ უახლოეს წლებში უზრუნველვყოთ რესპუბლიკის ქალაქები და რაიონები უმაღლესი ფიზკულტურული განათლების მქონე სპეციალისტებით.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, განსაკუთრებით, სოფლის, რვაწლიანი და დაწყებითი სკოლების სპეციალისტებით საბოლოოდ უზრუნველყოფის საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის დადგენილების შუქზე ახალ მონდომებასა და უფრო პროგრესულ ღონისძიებებს მოითხოვს ჩვენგან. უამისოდ წარმოუდგენელია მოზარდი თაობის სათანადო აღზრდაზე ლაპარაკი. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შევიტანეთ წინადადება, რომ მწვრთნელთა სკოლა გადაკეთდეს საშუალო სპეციალურ სასწავლებლად — ფიზიკური კულტურის ტექნიკუმად, სადაც კონტინგენტი ბევრად უფრო გაიზრდება. ამ საკითხის გადაწყვეტა საშუალებას მოგვცემს, რომ რვაწლიანი და დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები რამდენიმე წლის მანძილზე თითქმის სავსებით უზრუნველვყოთ საშუალო ფიზკულტურული განათლების მქონე სპეციალისტებით.

ჩვენს რესპუბლიკას კარგი ტრადიციები აქვს გამოცდილი ფიზკულტურული კადრების აღზრდაში, მაგრამ სპორტული მოძრაობის განვითარების დონე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, ისე ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებში, ჩვენი ღრმა რწმენით, ფიზკულტურული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ახალ, კიდევ უფრო თანამედროვე ფორმებს მოითხოვს. ეს, პირველ ყოვლისა, ეხებათ მწვრთნელთა კადრებს, რომელთაც დიდი პრაქტიკული გამოცდილება და საკმაო თეორიული ცოდნა აქვთ.

როგორც ცნობილია, დიდი საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის რესპუბლიკებისა და ზოგჯერ სსრ კავშირის წამყვან სპორტსმენთა მომზადებასაც კი ხშირად თეორიული თვალსაზრისით ნაკლებად საიმედო მწვრთნელთა კადრებს ავალებენ. ეს ამბავი წლების მანძილზე გრძელდებოდა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებდა სპორტის ცალკეული სახეობების განვითარებას, მთელი რიგი საბჭოთა სპორტსმენებისა და მთლიანი გუნდების ოსტატობის ამაღლებას მსოფლიო კლასის დონემდე. ამ საკითხის დადებითად გადასაწყვეტად გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ. საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ იმსჯელა ამის თაობაზე და გადაწყვიტა, რომ 1970 წლის 1 სექტემბრიდან ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნას ორი ფაკულტეტი: პედაგოგიური და სპორტული. სპორტული ფაკულტეტი რესპუბლიკის პერსპექტიული სპორტსმენებით დაკომპლექტდება. ახალი ფაკულტეტის ბაზაზე უნდა გაიშალოს მუშაობა რესპუბლიკის მოწინავე მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის წარმატებით გადაჭრა მოგვცემს საშუალებას, რომ მუშაობის მთავარ უბანზე მაღალი კვალიფიკაციის, საიმედო ხალხი გვყავდეს. რესპუბლიკურმა კომიტეტმა მწვრთნელებს აუკრძალა სპეციალური უმაღლესი განათლების გარეშე საქართველოს სსრ ნაკრებ გუნდებთან, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლებში, ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებულ სპორტსკოლებში მეცადინეობის ჩატარება. უმაღლესი კვალიფიკაციის მწვრთნელებს, რომელთაც სპეციალური განათლება არა აქვთ, ჩვენ დავავალეთ დაუსწრებლად ისწავლონ ფიზკულტურის ინსტიტუტში, პედაგოგიური ინსტიტუტების ფიზაღზრდის ფაკულტეტებზე ან მწვრთნელთა სკოლაში. იგივე ღონისძიება გატარდა კომიტეტების, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების მუშაკთა შორისაც. უნდა ითქვას, რომ პირველი შედეგები საკმაოდ კარგია და ფართო გავრცელებას იმსახურებს.

იმ მიზნით, რომ მწვრთნელებსა და ფიზკულტურის მასწავლებლებს დახმარება გავუწიოთ, „ლელოს“ ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდება ჩვენი სპეციალისტების წერილები სხვადასხვა თეორიულ და პრაქტიკულ საკითხზე. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი და ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ყოველთვიურად უშვებენ სპეციალურ ბიულეტენებს მწვრთნელებისა და მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებზე. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის მწვრთნელები, მასწავლებლები და სხვა სპეციალისტები უაღრესად მწვავედ განიცდიან მაღალი დონის ლექციების, სემინარების, თათბირების ნაკლებობას. ისინი იშვიათად ხვდებიან იმ სპეციალისტებს, რომლებსაც ხშირად უხდებათ საზღვარგარეთ მოგზაურობა ნაკრებ გუნდებთან ერთად, კონფერენციებზე, კონგრესებზე. ეს უკანასკნელნი

ყველას აჯობეს რკინიგზელებმა

•

13:0, 11:0, 9:3

•

სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის თასის საქალაქო გათამაშებაში, რომელიც ზამთრის რესპუბლიკურ საცურაო აუზში ჩატარდა, მონაწილეობა მიიღეს „დინამოს“ I და II, „ლოკომოტივისა“ და თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტული სკოლის ჭაბუკმა წყალბურთელებმა.

განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა „ლოკომოტივმა“ (მწვრთნელი ლ. კრილოვი), რომელიც მთელი თავით მაღლა იდგა სხვა კოლექტივებზე. ამ გუნდის ყველა მოთამაშე შესანიშნავად ცურავდა, ბურთსაც კარგად ფლობდა და უშეცდომოდ მოქმედებდა.

პირველ შეხვედრაში რკინიგზელებმა „მშრალი“ ანგარიშით (13:0) დაამარცხეს განათლების განყოფილების გუნდი. მათ ასევე დიდი ანგარიშით მოუგეს „დინამოს“ მეორე გუნდსაც — 11:0. „ლოკომოტივის“ კარის ბადე მხოლოდ სამჯერ შეარხია „დინამოს“ პირველმა გუნდმა. სამაგიეროდ, „ლოკომოტივმა“ 9 ბურთი გაიტანა და საბოლოოდ თასიც დაისაკუთრა.

აღსანიშნავია, რომ ამ გუნდის წევრებმა მეტოქეთა კარში 33 ბურთი გაიტანეს, საკუთარში კი მხოლოდ 3 გოლი მიიღეს.

II ადგილზეა „დინამოს“ პირველი გუნდი, III — განათლების განყოფილების ნაკრები.

ა. გურასაშვილი.

* * *

სურათზე: „ლოკომოტივის“ გუნდის წევრი ა. შატალინი (ბურთით) შეტევის დროს.

ფოტო ავტორისა.

თასი — ოქუმელ მხედრებს

გალის იპოდრომზე გაიმართა რაიონული პირველობა საცხენოსნო სპორტში. შეჯიბრებაში საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. უკონკურსოდ ასპარეზობდა გალის საცხენოსნო სპორტული კლუბის ნაკრები.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მხედრებმა.

„გახსნის პრიზზე“ დაბრკოლებათა გადალახვაში დაძაბული ბრძოლა გაიმართა ძმებს მ. და ნ. ლაბაშიებს შორის, მაგრამ გამარჯვებული მაინც ვერ გამოვლინდა: ძმებმა I-II ადგილები გაიყვეს.

ცხენით სიმაღლეზე ხტომაში ტოლი არ ჰყავდა მ. ლაბაშიას.

4-კილომეტრიანი დოღი მოიგო რ. მესხიამ (გალის საცხენოსნო სპორტკლუბი).

ცხენბურთში კარგი მომზადება გამოავლინეს ოქუმელმა ცხენოსნებმა და I ადგილიც მათ დარჩათ.

ისინდში ყველას აჯობეს ღუმურიშელებმა.

მოქნევაში პირველი იყო უხუცესი ცხენოსანი, ღუმურიშელი ქ. ზუხბაია.

შეჯიბრების დასასრულს გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცათ დიპლომები და სიგელები, ოქუმელ მხედრებს — გარდამავალი თასი.

ვ. მიქაია.
(ჩვენი კორ.).

გალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარია!

შეხვედრების დროს ძალიან ნაკლებად უზიარებენ სხვებს თავიანთ შთაბეჭდილებასა და გამოცდილებას.

პასიურობას იჩენს ფიზიკური კულტურის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ცუდად გვაწვდის უცხოელ სპეციალისტთა გამოცდილებას სპორტის ცალკეულ სახეობებში და ზოგიერთ სხვა საკითხში. ყოველ შემთხვევაში, ჩვენამდე ეს მასალები ძალზე იშვიათად და დიდი დაგვიანებით მოდის.

ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ქვეყნის ხელმძღვანელი ფიზკულტურული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების არსებული სისტემა ვერ უპასუხებს დღევანდელ მოთხოვნებს, ვერ უზრუნველყოფს მუშაკთა მთელი შემადგენლობის მიზიდვას. ჩვენი აზრით, აუცილებელია შეიქმნას არა მხოლოდ სტაციონარული, არამედ დაუსწრებელი კურსები-სემინარები, ვთქვათ, 6 თვის ვადით, სადაც ხანმოკლე გასაუბრებებიც მოეწყობა. ეს უთუოდ აამაღლებს ყველა რანგის სამეთაურო შემადგენლობის პასუხისმგებლობას.

საბჭოთა საზოგადოების დღევანდელი დღისთვის დამახასიათებელია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის უაღრესად მაღალი ტემპი, რომელიც თავის გავლენას ახდენს ხალხის კულტურულ ზრდაზე, მათ შორის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაზე. ჩვენს რესპუბლიკაში ეს განსაკუთრებით ჩანს თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, რუსთავის, ჭიათურის, ზუგდიდის, ტყიბულის, მახარაძის, ზესტაფონის, სამტრედიის, ხაშურის, თელავის, კასპისა და სხვა ქალაქების, აგრეთვე, ბევრი სხვა ფიზკულტურული კოლექტივის მაგალითზე, სადაც სხვადასხვა სახეობაში მშრომელთა 40-50 პროცენტია ჩაბმული.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის ზრდა მარტო უკვე ჩამოყალიბებული ორგანიზაციული ფორმების — საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების ხარჯზე როდი ხდება. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ მომეცადინეთა რიცხვის ზრდა საცხოვრებელ ადგილებში, დამოუკიდებელი ვარჯიში თავისუფალ საათებში. მაგალითად, ასეა თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის საცხოვრებელ მასივებში, სადაც შექმნილია ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კლუბები „დილა", „გაზაფხული", „რიონი", „ფოლადი", „კოლხიდა", „სანაპირო" და სხვ.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის უკვე მიღწეული დონის სისტემატურად ამაღლება დღეს თანდათან უფრო ძნელი ხდება. აქ მთავარია არა მარტო სპორტული ბაზების, არამედ კადრების საკითხიც.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი ზრდა მოითხოვს საზოგადოებრივი საწყისების მნიშვნელოვან გაფართოებას, საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების საკითხის გაუმჯობესებას არა მარტო რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი თვალსაზრისითაც.

საზოგადოებრივი კადრების მომზადების არსებული სისტემა კარგ შედეგს იძლევა. საქართველოში, მაგალითად, დღეისთვის ყოველ 12 ფიზკულტურელზე 1 საზოგადოებრივი მწვრთნელი-ინსტრუქტორი მოდის. მაგრამ ეს უკვე ვეღარ უზრუნველყოფს ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომ ზრდას როგორც რაოდენობრივი, ისე (და განსაკუთრებით) ხარისხობრივი თვალსაზრისით, მით უმეტეს — პერსპექტივაში.

დღეს შექმნილი მდგომარეობა აუცილებელს ხდის საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების ფართოდ მომზადებას მეორე სპეციალობის დაუფლების წესით. ეს იდეა საქართველოში ჯერ კიდევ 1966 წელს შეიქმნა. მას მხარს უჭერდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილება. წამოყენებული იყო წინადადება, რომ 1960-1961 სასწავლო წლიდან პრაქტიკაში, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეთა მზადებაში დანერგილიყო მეორე სპეციალობა — საზოგადოებრივი მწვრთნელისა და ფიზკულტურული ორგანიზატორისა.

1964 წლის დადგენილებით „სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაში საქართველოს სსრ დელეგაციის მონაწილეობისა და რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს, საშუალო-სპეციალური სასწავლებლების დირექტორებსა და სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკს" დაავალეს გაეძლიერებინათ უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სტუდენტთა მზადება მეორე ზემოხსენებული სპეციალობით. ამ თვალსაზრისით სხვებზე უკეთ წარიმართა მუშაობა უნივერსიტეტში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. ამ სასწავლებლების კურსდამთავრებულები — ინჟინრები, აგრონომები, ბიოლოგები, მასწავლებლები და სხვები ძირითად საქმიანობას წარმატებით უთავსებენ ფიზკულტურასა და სპორტში საზოგადოებრივ მუშაობას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საკავშირო მასშტაბით ამ საკითხის წარმატებით გადასაჭრელად აუცილებელია კონკრეტული დახმარება და მხარდაჭერა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, აგრეთვე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მხრივ. ლაპარაკია მეორე სპეციალობის სწავლების შემოღებაზე ყველა ჩვენს უმაღლეს და საშუალო სასწავლებელში, სტაციონარულ კურსებზე და სხვა განყოფილებებზე. ელემენტარული ცოდნა და ჩვევები უნდა მივცეთ საშუალო სკოლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებსაც. ფიზკულტურული მოძრაობისთვის საზოგადოებრივი კადრების მომზადების საკითხი უახლოეს ხანში უნდა მოვიყვანოთ ისეთ სისტემაში, რომელიც ამ კადრების მომზადებას უფრო მაღალი დონის მიღწევის საშუალებას მოგვცემს.

ვფიქრობთ, საჭიროა წამოვწიოთ თეზისი საყოველთაო-სახალხო ფიზკულტურული განათლების შესახებ, განსაკუთრებით ახალგაზრდობასა და ბავშვებს შორის, რაც მოითხოვს ფიზკულტურული კადრების დიფერენცირებულ მზადებას ყველა საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელში, პროფილის გათვალისწინებით. ისმის მასობრივი საზოგადოებრივი კადრების მომზადებაში მეორე მიმართულების საკითხიც — საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.

ამ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდონ სასოფლო, რაიონული და საქალაქო საბჭოების დეპუტატთა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომისიებმა საბინაო-საექსპლოატაციო კონტორების დახმარებით. უმარტივესი სპორტული ნაგებობებისა და მიკრორაიონების მშენებლობა უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივ ორგანიზატორმეთოდისტთა საკმარისი რაოდენობით მომზადებას. ამისთვის აუცილებლად საჭიროა შემუშავდეს სემინარების სპეციალური პროგრამა სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებისთვის.

როგორც ცნობილია, მხოლოდ კადრების მომზადება ვერ გადაწყვეტს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს. აქ მნიშვნელობა აქვს სწორ შერჩევას და განაწილებასაც.

აუცილებლად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტად გარდაქმნის შემდეგ სამინისტროებსა და უწყებებში ფიზკულტურულ მუშაკთა კადრების განაწილებისა და შერჩევის საკითხი უფრო გაიოლდა, თუმცა ამ საქმეში დღესაც არსებობს გარკვეული სირთულეები.

ამასთან, როგორც ანალიზმა გვიჩვენა, რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ გვხვდება არსებითი ნაკლოვანებები კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, შერჩევისა და სწორად განაწილების თვალსაზრისით.

იმის შედეგად, რომ ცალკეული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოები, საუწყებო ფიზკულტურული ორგანიზაციები ზერელედ ეკიდებიან კადრების შერჩევის საკითხს, ცუდად აკვირდებიან მათ პრაქტიკულ მუშაობაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხშირად საკითხი დაუკვირვებლად, ზედაპირულად წყდება. ფიზკულტურულ სამუშაოზე ზოგჯერ ხვდებიან მორალურად მოუმზადებელი, ამ საქმისთვის შეუფერებელი ადამიანები. მაგალითად, ასე მოხდა ტყვარჩელში, როცა „განთიადის" საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ 2 ათასი მანეთის ოლიმპიური ლატარიის ბილეთები გაფლანგა. ასევე მოიქცა მარნეულის ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე. მათი საქმე საგამომძიებლო ორგანოებს გადაეცა.

ბოლო 3 წლის მანძილზე თანამდებობიდან გავათავისუფლეთ 39 რაიონული, საქალაქო, საოლქო (ასსრ) ფიზკულტურის კომიტეტისა და სპორტსაზოგადოებათა საბჭოს თავმჯდომარე, რომელთაც თავი ვერ გაართვეს დაკისრებულ საქმეს ან შეუფერებელი საქციელის გამო დაისაჯნენ.

ამგვარად, შეცვლილია ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხელმძღვანელ მუშაკთა 20 პროცენტზე მეტი. ამ ციფრზე არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ. ახლა ჩვენ გაცილებით მეტ მომთხოვნელობას ვიჩენთ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ახალი კანდიდატების შერჩევის დროს. იმედი გვაქვს, რომ შესაბამისი ღონისძიებათა გატარების შემდეგ საქმე ბევრად გაუმჯობესდება.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოები ჯერ კიდევ არ უთმობენ სათანადო ყურადღებას ფედერაციების პრეზიდიუმების შემადგენლობის განმტკიცებას, აქტივისტების — სპორტის მოყვარულების შემოკრებას, რომლებიც სპორტულ ორგანიზაციებში პრაქტიკული მუშაობით არ არიან დაკავებული. საქართველოში ბევრ რესპუბლიკურ სპორტულ ფედერაციას საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მომუშავე პირები ხელმძღვანელობენ. მაგალითად, კალათბურთის ფედერაციას თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი ვ. თოხაძე, ჭადრაკის ფედერაციას — საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი ა. ჭირაქაძე, საფროსნო სპორტის ფედერაციას — მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილი, წყალბურთის ფედერაციას — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი მ. ძეგრელიშვილი. მიუხედავად ამისა, საჭიროა კიდევ უფრო განვამტკიცოთ საზოგადოებრივი ორგანოების ხელმძღვანელი როლი სპორტში, მივცეთ მათ მეტი უფლება, ვენდოთ, მაგრამ, ამავე დროს, შევამოწმოთ კიდეც.

მიუხედავად მიღებული ზომებისა, ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ 635 კაცი (ესე იგი, 13,4 პროცენტი) მუშაობს სპეციალური განათლების გარეშე, ყოფილი სპორტსმენებისა და აქტივისტების რიცხვიდან. ცალკეული ფიზკულტურის კომიტეტები, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოები, განსაკუთრებით კი განათლების ორგანოები (473 ფიზკულტურის მასწავლებელი სპეციალისტი არ არის) ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მათი ფიზკულტურული სასწავლებლების დაუსწრებელ და საღამოს განყოფილებებზე სწავლის საკითხს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ უნდა გადაჭრას არასპეციალისტების ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების მოვალეობიდან გათავისუფლებისა და სხვა სამუშაოზე გამოყენების საკითხი. ეს საჭიროა, რადგან კლასგარეშე და სკოლის გარეშე სასექციო და სპორტულ მეცადინეობაზე დიდადაა დამოკიდებული მოზარდი თაობის სწორი და ნორმალური აღზრდა.

ამასთან, ვითვალისწინებთ რა, რომ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოებისა და საუწყებო ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა ნაწილს სპეციალური განათლება არა აქვს, 1970 წლიდან გადავწყვიტეთ ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოვაყალიბოთ კვალიფიკაციის ამაღლების ერთწლიანი დაუსწრებელი კურსები, სადაც მსმენელებს კვარტალში ერთხელ მიიწვევენ გასაუბრებაზე.

კადრებთან მუშაობის ერთ-ერთი მთავარი უბანია მათი მუშაობის ხარისხის აღრიცხვა. სამწუხაროდ, ამ საქმეში ჯერ კიდევ არა გვაქვს კარგად დამუშავებული სისტემა. ჩვენთვის აუცილებელია ისე დავაყენოთ საქმე, რომ ყოველმა მუშაკმა, განსაკუთრებით, ყოველმა ფიზკულტურის მასწავლებელმა და მწვრთნელმა, იცოდეს, რომ მისი საქმიანობა გამუდმებული კონტროლის ქვეშაა. ამით პასუხისმგებლობა კიდევ უფრო გაიზრდება და წახალისებასაც მეტი ძალა ექნება.

ეს საკითხი არც ისე იოლი გადასაჭრელია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. მართლაც, როგორ შევაფასოთ მწვრთნელისა თუ მასწავლებლის მუშაობა? ერთი წლის მანძილზე მომზადებულ დაბალთანრიგოსან სპორტსმენთა რიცხვი, ჩვენი აზრით, საამისოდ არ კმარა. ნიჭიერი სპორტსმენები კი არც ისე ხშირად ჩნდებიან სარბიელზე.

როგორც ჩანს, შეფასებას უნდა ვიძლეოდეთ მაჩვენებელთა ერთობლიობის მიხედვით, უფრო ხანგრძლივი პერიოდის (3-5 წელი) მანძილზე. კომიტეტში ამ თვალსაზრისით უკვე მიმდინარეობს მუშაობა სპეციალურ კომისიებში, მაგრამ ყველა სირთულის გადალახვა ჯერჯერობით არ ხერხდება.

რამდენიმე სიტყვა კადრების განაწილებაზე. ამ ცოტა ხნის წინ ჩვენთან ჩატარდა უაღრესად შრომატევადი სამუშაო, რომელსაც დასჭირდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მთელი აპარატისა და სპორტის ფედერაციების წარმომადგენელთა გულმოდგინე შრომა მრავალი თვის მანძილზე. შესწავლილი და გაანალიზებულია რესპუბლიკის ყველა სპორტული სკოლის დისლოკაცია მიუხედავად იმისა, თუ რომელ უწყებას ეკუთვნიან ისინი.

გათვალისწინებული იყო ყოველი ჯგუფის, ყოველი მწვრთნელის შრომისნაყოფიერება. გაითვალისწინეს ტრადიციები, კადრები, სპორტული ბაზები და სხვა ფაქტორები.

ამჟამად ამ საფუძველზე ვახდენთ სპორტული სკოლების გადაჯგუფებას. ნაკლებად შედეგიანი განყოფილებები და ჯგუფები დაიხურა. ამასთან გაიხსნა დამატებითი ჯგუფები იქ, სადაც საამისოდ არსებობს შესაბამისი მატერიალური ბაზა, მწვრთნელ-სპეციალისტთა კადრები, ტრადიციები, დასასრულ, არიან პერსპექტიული სპორტსმენები.

ჩვენი ღრმა რწმენით, საკითხის ასე დაყენება უთუოდ მოაგვარებს ფიზკულტურული კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს.

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი ამოცანებიდან ერთ-ერთი მთავარი მუდამ იყო და დღესაც არის კომუნიზმის მშენებელი ღირსეული ახალგაზრდობის აღზრდა. რაღა სალაპარაკოა, რომ ამ დიდ საქმეში უაღრესად დიდი პასუხისმგებლობა გვეკისრება ჩვენ, ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტებს. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვიყენებთ სრულად არსებულ შესაძლებლობებს.

ამავე დროს, ვიმეორებ, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საქმეს მოსახლეობის ყველა ფენას და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობას შორის. საკმარისია კიდევ ერთხელ გავიხსენოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის დადგენილება, რომლის მიზანიც ფიზკულტურისა და სპორტის დონის შემდგომი ამაღლებაა. ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა თანდათანობით, კომუნისტურად აღვზარდოთ ფიზკულტურული მოძრაობის მუშაკები, რომლებმაც, თავის მხრივ, ღირსეულად უნდა შეასრულონ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული მიზანი — იბრძოლონ საბჭოთა ხალხის ყოფაცხოვრებაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფართოდ დანერგვისთვის, საბჭოთა სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებისთვის.

დაისაჯნენ კიდეც

ეს მოხდა აფხაზეთის მოსწავლეთა საშემოდგომო პირველობაზე. გაგრელი ფრენბურთელი გოგონები გულდაწყვეტილი ტოვებდნენ მოედანს. ეს გასაგებიც იყო: ისინი ხომ წინასწარ მოგებაზე ფიქრობდნენ, მაგრამ შემდეგ „საკურორტო" ფრენბურთი ითამაშეს და დაისაჯნენ კიდეც. ანდა, როგორ მოიგებდნენ, როცა სპორტსმენთა შორის კოლექტიურობა არ იყო. გუნდს იმედები გაუცრუა კაპიტანმა ი. პელივანოვამაც. იგი ცდილობდა თამაში მხოლოდ საყვედურებზე აეგო.

სამაგიეროდ, გაგრელთა მეტოქეებმა — ტყვარჩელელებმა შესანიშნავად წარმართეს ბრძოლა. თამაშობდნენ ლაღად, ძალდაუტანებლად, ელეგანტურად და მატჩიც მათ სასარგებლოდ დამთავრდა — 3:1. ამ მოგებით ტყვარჩელის გუნდი ფინალში გავიდა, სადაც სოხუმელ სპორტსმენებს შეხვდა.

საინტერესოა, რომ სოხუმის ნაკრებში გამოდიოდა მე-19 საშუალო სკოლის ოთხი თანაკლასელი: ს. კურიშკინა, ზ. ქაჯაია, ლ. პოგრებნაია და ს. სვისტუნოვა (ყველანი აფხაზეთის მოსწავლეთა ნაკრები გუნდის წევრები არიან). გაუმართლათ სოხუმელ გოგონებს — 3:1.

ჭაბუკთა შეჯიბრების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გუდაუთისა და გაგრის ფრენბურთელები. შარშანდელ ჩემპიონს — სოხუმის გუნდს ნახევარფინალში გუდაუთელებმა მოუგეს. მათ ფინალშიც აღმავლობით ითამაშეს და ჩემპიონის სახელი მოიპოვეს.

ვ. ბუკინი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოხუმი.

[illegible]

✦ ახმეტა

კონსტიტუციის სახელობის თასი იყო დაწესებული რაიონის პირველობაში გამარჯვებული საფეხბურთო კოლექტივისთვის. შეჯიბრებაში მონაწილე 8 გუნდი დაყოფილი იყო ორ ზონად. ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვეს ალვანისა და ქისტაურის გუნდებმა. გადამწყვეტი შეხვედრა მოიგეს ქისტაურელებმა — 2:1.

შ. ნათელაური.

აფხაზეთის სტადიონებზე ორ კვირას მიმდინარეობდა მოსწავლეთა შეჯიბრება ფეხბურთში, რომელიც მოეწყო აფხაზეთის განათლების სამინისტროს თაოსნობით. ტურნირში მონაწილეობდნენ სოხუმის რაიონის, გუდაუთის, გულრიფშის, გალის, ოჩამჩირის, ქ. სოხუმისა და ტყვარჩელის გუნდები.

გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს გუდაუთისა და ოჩამჩირის წარმომადგენლებმა. თამაშის ბედი გადაწყვიტა გუდაუთელთა მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა.

გ. იაშვილი,
გ. პოლოსიანი.

სურათზე: გუდაუთისა და ოჩამჩირის ფეხბურთელთა ფინალური შეხვედრის მომენტი.

ფოტო გ. იაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

რამდენად რეალურია „სპარტაკის“ განზრახვა?

გუშინწინ ლენინგრადში გაიმართა მორიგი ტურის კიდევ ერთი მატჩი. პოტენციური ლიდერი ნელ-ნელა რეალურ ლიდერს ეწევა. დიახ, ადგილობრივი „სპარტაკი“ ჯერ კიდევ ერთადერთი გუნდია, რომელსაც საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში მარცხი არ განუცდია. ლენინგრადელებმა ამჯერად დაძაბულ და შეუპოვარ ბრძოლაში სძლიეს მოსკოვის „დინამოს“ — 90:80.

ხუთიდან 5 ქულა! ეს ბრწყინვალე შედეგი კიდევ იმის მაჩვენებელია, რომ „სპარტაკი“ მზადაა დუელში გამოიწვიოს ყველა, ვინც კი მას ხელს შეუშლის ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში. მაგრამ რამდენად სამართლიანია და რეალური ნევისპირელთა სურვილი, ამას პირველი წრის დარჩენილი მატჩები გვიჩვენებს.

პოტენციურმა ლიდერმა სერიოზულ მეტოქეთაგან ჯერჯერობით მხოლოდ ორთან — ტარტუს „კალევთან“ და კიევის არმიელებთან ითამაშა. ესტონელებთან სტუმრად იგი მხოლოდ ორქულიან უპირატესობას დასჯერდა, უკრაინელებს კი შინ 3 ქულით მოუგო. როგორც ხედავთ, მთავარი გამოცდა „სპარტაკს“ წინ აქვს. ცსკა-ს, თბილისის „დინამოსა“ და კიევის „სტროიტელს“ ლენინგრადელები პირველ წრეში სტუმართა როლში წარუდგებიან, „ჟალგირისს“ კი თავად უმასპინძლებენ. ეს 4 მატჩი საბოლოო სიცხადეს შეიტანს სპარტაკელთა განზრახვის რეალობაში.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	7	6	1	609—514	6
„სტროიტელი“ (კიევი)	6	5	1	507—426	5
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	5	5	0	401—353	5
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	6	4	2	478—468	4
„კალევი“ (ტარტუ)	5	3	2	409—404	3
ასკ (კიევი)	7	3	4	546—518	3
„დინამო“ (მოსკოვი)	6	2	4	488—481	2
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	6	2	4	446—489	2
ასკ (რიგა)	6	2	4	436—476	2
„დინამო“ (თბილისი)	5	2	3	367—427	2
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	7	1	6	526—606	1
„ლოკომოტივი“ (ალმა-ათა)	6	1	5	472—526	1

რეკორდებით დაიწყეს

ლვოვი, 16 დეკემბერი. დღეს აქ დაიწყო სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატი ძალოსნობაში. ფიცარნაგზე გამოვა სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების 25 გუნდის 250-მდე ათლეტი.

შეჯიბრების პირველივე დღე მსოფლიოს ორი რეკორდით აღინიშნა: მსოფლიო ჩემპიონმა, უმჩატეს წონაში ვ. კრიშჩიშინმა (ლვოვი) აჰიმა 113,5 და აჰკრა 128,5 კგ.

ატაცში 100,5 კგ რომ ეჩვენებინა, კრიშჩიშინი მესამე მსოფლიო რეკორდსაც დაამყარებდა, და, რა თქმა უნდა, სამჭიდშიც მიაღწევდა უმაღლეს მაჩვენებელს, მაგრამ მსაჯებმა ორჯერ არ ჩაუთვალეს წონა ათლეტს. სამჭიდში კრიშჩიშინმა 335 კგ დააგროვა.

II ადგილზე გავიდა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, სვერდლოვსკელი ვ. სმეტანინი, რომელიც გამარჯვებულს 15 კილოგრამით ჩამორჩა.

საღამოს ასპარეზობდნენ მჩატე წონის ათლეტები. აქ საკავშირო რეკორდის ავტორი გახდა მინსკელი ს. ბელენკო, რომელმაც 120,5 კგ აჰიმა. მისი მაჩვენებელი სამჭიდშიც საკმაოდ მაღალია — 352,5.

გამარჯვებულს 2,5 კილოგრამით ჩამორჩა ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ა. ვახონინი.

ქართველი ჩოგბურთელები ინდოეთში

ამ დღეებში ინდოეთს გაფრინდება ქართველ ჩოგბურთელთა გუნდი, რომელშიც შედიან სსრ კავშირის ჩემპიონი ა. მეტრეველი, სსრ კავშირის ჩემპიონი შერეულ წყვილთა თანრიგში თ. კაკულია, ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესი ჩოგბურთელები რ. აბჟანდაძე, ა. ივანოვა და ნ. თუხარელი. გუნდის მწვრთნელია გ. ჩახუნაშვილი. დელეგაციას ხელმძღვანელობს გ. სამსონაძე.

ქართველი ჩოგბურთელები ჯერ ინდოეთის ღია პირველობაში გამოვლენ, შემდეგ აზიის ღია ჩემპიონატში ითამაშებენ. ისინი თითქმის იანვრის ბოლომდე დარჩებიან ინდოეთში.

მსოფლიოს თოვლიან ბილიკებზე

პირველი რეპეტიცია

სსრ კავშირის უძლიერეს „მფრინავ მოთხილამურეთა“ ერთი ჯგუფი ოლიმპიური ჩემპიონის ვ. ბელოუსოვის (ლენინგრადი) მეთაურობით ფინეთის ქალაქ როვანიემიშია სავარჯიშოდ. საბჭოთა სპორტსმენებმა აქვე, მომავალი უნივერსიადის ცენტრში გამართეს სეზონის პირველი საერთაშორისო შეჯიბრება.

სამივე საპრიზო ადგილი სსრ კავშირის წარმომადგენლებმა დაიკავეს: ბელოუსოვი ჯერ 84 მეტრზე გადახტა, შემდეგ ამ მაჩვენებელს 2,5 მეტრი მოუმატა და ორი ცდით 229,2 ქულა მოაგროვა. მოსკოველმა ა. ივანიკოვმა, მეტოქეს 1 მეტრით აჯობა (85,5 და 86 მ), მაგრამ ტექნიკაში ჩამორჩა და საბოლოოდ მასთან 1,1 ქულა წააგო. III ადგილზეა ი. ნაპალკოვი (გორკი) — 211,9 (80 და 83,5 მ).

IV ადგილიც საბჭოთა მოთხილამურეს, ორჭიდელ ვ. დრიაგინს (კიროვი) დარჩა — 210,1 (85,5 და 81 მ). სხვა ქვეყნების სპორტსმენებიდან საუკეთესო აღმოჩნდა მასპინძელი ი. მანი. იგი V ადგილს დასჯერდა — 209,7 (84,5 და 83 მ).

ეს იყო პირველი რეპეტიცია მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში.

მოულოდნელად

ვალ დ'იზერში (საფრანგეთი) გრძელდება სამთომოთხილამურეთა საერთაშორისო ტურნირი — „პირველი თოვლის კრიტერიუმი“. გიგანტურ სლალომში ქალთა ასპარეზობის შემდეგ სარბიელზე 23 ქვეყნის 120 ვაჟი გამოვიდა და ერთმანეთს სწრაფდაშვებაში შეეჯიბრება. ტურნირს უამრავი ფავორიტი ჰყავდა, მაგრამ ისინი ამჯერად „თამაშგარე მდგომარეობაში“ აღმოჩნდნენ. მოულოდნელად გაიმარჯვა 21 წლის ავსტრალიელმა ფერმერმა ვ. მილნიმ, რომელმაც 3298-მეტრიანი ტრასა საათში საშუალოდ 90 კმ სისწრაფით დაფარა. 2.13,8 აჩვენა და სპეციალური პრიზიც მოიხვეჭა.

აღსანიშნავია, რომ მილნი უმცროსი ძმაა რ. მილნისა, რომელიც ინსბრუკის ოლიმპიადის წინ წვრთნისას დაშავდა. უმცროსი მილნიც ყოველწლიურად ევროპაში დადის საწვრთნელად (უმეტესად საფრანგეთის სპორტსმენებთან ვარჯიშობს). ახლა მან მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

„იჟევსკის შაშხანა“ — დინამოელებს

სსრ კავშირის ბიატლონისტებმა სეზონის პირველი შეჯიბრება სარაპულში გამართეს. 4×7,5 კილომეტრზე ესტაფეტაში გუნდებმა საუკეთესო ძალები გამოიყვანეს. პირველივე ეტაპიდან „დინამოსა“ და საბჭოთა არმიის წარმომადგენლები დაწინაურდნენ, მაგრამ შემდეგში არმიელებს პროფკავშირთა ნაკრების წევრებმა გაუსწრეს და II ადგილიც დაიკავეს. — 2:11.56.

გამარჯვება „დინამოს“ კვარტეტს დარჩა — 2:09.33. მან გადაეცა მთავარი პრიზი — „იჟევსკის შაშხანა“.

ასე იშვა „ლელოს“ პუბლიკაცია

პირველი ოსტატი

1930 წლის გაზაფხულზე თბილისში შედგა ვ. ნენაროკოვის (1880-1964 წ. წ.) და ვ. გოგლიძის მატჩი, რომელმაც ჭადრაკში პირველი ქართველი ოსტატი შვა. ჟურნალი „შახმატნი ლისტოკი“ (1930 წ. № 13) წერდა: „ეს მატჩი სცილდება ინდივიდუალური გამარჯვების ჩარჩოს. ვ. გოგლიძე ამიერკავკასიის ხალხთა პირველი წარმომადგენელია, რომელმაც სსრ კავშირის სპორტის ოსტატის საპატიო წოდება მოიპოვა“. ამ ორთაბრძოლას უსწრებდა ვ. გოგლიძის მატჩი (1928 წ.) ცნობილ მოსკოველ ოსტატ ნ. გრიგორიევთან, რომლის ბედი მხოლოდ დასკვნით პარტიაში გადაწყდა (გოგლიძემ წააგო შეხვედრა). ამ მატჩში მიღებული გამოცდილება კარგად გამოადგა გოგლიძეს ნენაროკოვთან ბრძოლაში. საინტერესოა, რომ ორივე მატჩის გამართვის მოთავე და ერთ-ერთი ორგანიზატორი პოეტი პაოლო იაშვილი გახლდათ.

ამას წინათ ვ. გოგლიძის არქივს ვეცნობოდი და წავაწყდი მის გამოუქვეყნებელ სტატიას ვ. ნენაროკოვთან მატჩის თაობაზე, რომელსაც დღეს გთავაზობთ.

თ. გიორგაძე.

ნ. გრიგორიევთან მატჩის შემდეგ წელიწადნახევარმა განვლო. ამ დრომ დიდი სარგებლობა მომიტანა. რამდენიმე ტურნირში ვითამაშე და კარგი პრაქტიკა მივიღე. რაც მთავარია, დიდი ყურადღება მივაქციე თეორიული ცოდნის შეძენას. და როცა დაისვა საკითხი ჩემი საკვალიფიკაციო მატჩის შესახებ ცნობილ ოსტატ ვ. ნენაროკოვთან, თავს უფრო ძლიერად და უკეთ მომზადებულად ვგრძნობდი, ვიდრე ნ. გრიგორიევთან ორთაბრძოლის წინ.

ჩემი მეტოქე იყო გამოცდილი მებრძოლი, ცნობილი მოსკოველი ოსტატი, ჭადრაკის რამდენიმე სახელმძღვანელოს, მათ შორის, „დებიუტების კურსის“ ავტორი. 1922 და 1924 წლებში ნენაროკოვმა მოიგო მოსკოვის პირველობა (ორჯერ — გრიგორიევთან მატჩის შემდეგ), II, III და V საკავშირო ჩემპიონატებში მან საპრიზო ადგილები დაიკავა. განსაკუთრებით საშიში იყო ნენაროკოვი სამატჩო შეხვედრებში. აი, მაგალითად, მისი მატჩების შედეგები: 1905 წელს ყაიმი დიდოსტატ ს. ტარტაკოვერთან (2:2), 1907 წელს — მოგება თ. დუზ-ხოტიმირსკისთან — (5,5:3,5), 1908 წელს — 16 წლის ა. ალიოხინთან (3:0).

1929 წელს ვ. ნენაროკოვი თბილისში დასახლდა. და აი, 1930 წლის მაისში ჩვენ შევხვდით ერთმანეთს საკვალიფიკაციო მატჩში. ორთაბრძოლისადმი ინტერესი ძალიან დიდი იყო. შეჯიბრებას რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო. პირობა ასეთი იყო: ვთამაშობდით ექვს მოგებამდე, ყაიმების ჩაუთვლელად. ამ გარემოებამ ბრძოლას განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი მისცა.

შეხვედრისთვის სერიოზულმა მომზადებამ მატჩის დასაწყისშივე წარმატება მომიტანა. პირველ ოთხ პარტიაში 3 ქულა მოვაგროვე. წარუმატებლობა თითქოს არ მოქმედებდა ნენაროკოვზე. V პარტიაში მან ფრანგული დაცვის წინააღმდეგ ნიმცოვიჩის სისტემა გამოიყენა. მოგებაზე ვთამაშობდი, არ ვერიდებოდი პაიკებისა და ფიგურების შეწირვას. ალბათ, ეს პარტია ყველაზე თავსატეხი იყო მატჩში. საბოლოოდ მოსაგები პოზიცია მივიღე, მაგრამ ვერ გამოვიყენე იგი, რადგან სვლების მოფიქრებაზე ბევრი დრო დავხარჯე და ძნელმა დაცვამაც დამღალა. ნენაროკოვმა შესანიშნავად ისარგებლა ჩემი უზუსტო თამაშით და გაიმარჯვა.

VI პარტია მრავალრიცხოვანი გაცვლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა.

VII პარტიაში ნენაროკოვი დამეწია: არც თუ ჩემს დაუხმარებლად: მატჩში პირველად გამოვიყენე სიცილიური დაცვა და პოზიციური უპირატესობაც მოვიპოვე. თამაში კარგ ენდშპილში გადავიყვანე, მაგრამ მერე შევცდი, უპირატესობა დავკარგე. ნენაროკოვმა ეს კარგად გამოიყენა და 58-ე სვლაზე მომიგო. ანგარიში გათანაბრდა — 3,5:3,5.

გამოცდილი სამატჩო მებრძოლი ნენაროკოვი თითქოს უნდა დაწინაურებულიყო, მაგრამ მე შევძელი VII და IX პარტიების მოგება — 5,5:3,5.

X პარტიაში მწვავე ბრძოლა გაიმართა. ნენაროკოვი კარგად იცავდა თავს, მოიგერია ჩემი იერიშები და 35-ე სვლაზე ყაიმზე შევთანხმდით. XI პარტიაში ნენაროკოვმა უარი თქვა თეთრებით მეფის პაიკით დაეწყო თამაში. წინა პარტიებმა ცხადყვეს, რომ იგი ვერ აღწევდა უპირატესობას სიცილიურ დაცვაში. რთული პოზიცია შეიქმნა, ინიციატივა ნენაროკოვს ჰქონდა. მე-20 სვლაზე მან პოზიციური შეცდომა დაუშვა და 43-ე სვლაზე გავიმარჯვე.

ვ. ნენაროკოვმა პირველმა მომილოცა ოსტატის წოდების მოპოვება.

ვ. გოგლიძე.

• • •

სურათზე: ვ. გოგლიძე (მარცხნივ) და ვ. ნენაროკოვი მატჩის ერთ-ერთი პარტიის თამაშის დროს.



დელფინები სამაშველო რაზმებში

ამერიკის საზღვაო სამაშველო სამსახური შესაძლებელია უჩვეულო „აკვალანგისტებით“ შეივსოს. ესენი იქნებიან... დელფინები, ხელაპები და ზღვის ლომები.

კალიფორნიაში უკვე მთავრდება დელფინთა პირველი ჯგუფის სწავლების კურსი. ამ ცხოველებიდან ზოგიერთმა თავი გამოიჩინა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დროს, რასაც სწავლულები ოკეანის სიღრმეში ატარებენ.

მაგალითად, დელფინ „ტაფის“ 8 წუთი არც კი დასჭირებია, რომ 185 მეტრ სიღრმეზე ჩაშვებულიყო და ცალკეულ აკვალანგისტებს შორის მეკავშირის როლი შეესრულებინა. მას ამ სიღრმეზე ჩაჰქონდა პატარა საგნები და ეძებდა ჩაძირულ აპარატურას.

მაგრამ წვრთნის მთავარი მიზანი ისაა, რომ დელფინებმა ისწავლონ გზადაბნეული აკვალანგისტების მოძებნა, რათა წყალქვეშა ლაბორატორიებამდე მიიყვანონ ისინი.

ჟურნალ „შტერნიდან“ გადმობეჭდილ სურათზე თქვენ ხედავთ დელფინ „ტაფის“, რომელიც აკვალანგისტისგან დავალებას იღებს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 6 უე 12034